შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.990)

28 აგვისტო -4 სექტემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ჩვენ უნდა შევცვალოთ კონსერვაციის ფოკუსი - არა როგორ გადავარჩინოთ, არამედ, როგორ ავაყვავოთ“...

საქართველო გამორჩეულია ბიომრავალფეროვნების ენდემური სახეობებით, უნიკალური ლანდშაფტით, რომელიც აქ არსებულ დაცულ ტერიტორიებში პირველქმნილი სახითაა შემორჩენილი. როგორ შეიძლება, რომ ტექნიკური მიღწევების პარალელურად, არ დავაზიანოთ ბუნება ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულებით და მასთან ჰარმონიულად ვიცხოვროთ ისე, რომ ეკონომიკური სარგებელიც მივიღოთ?

ამისთვის აუცილებელია, ადგილობრივი მოსახლეობის, სახელმწიფოს და ბუნებისდამცველთა ინტერესები მაქსიმალურად თანხვედრაში იყოს. განვითარების ასეთი მოდელი ბიოსფერული რეზერვატია.

ბიორეზერვატის მოდელი გარემოს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და გამოავლენს მდგრადი ბიზნესის განვითარების საშუალებასაც, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს ეკონომიკურ სარგებელს და ინარჩუნებს ტრადიციებს, ღირებულებებს.

რატომ შეირჩა კახეთი ბიოსფერული რეზერვატისთვის?

კახეთის რეგიონს, ისევე როგორც საქართველოს, უნიკალური და მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალი აქვს. ასევე მრავალფეროვანია ტურიზმის მიმართულებები. ამ მიმართულებებში შედის: სათავგადასავლო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ეკო ტურიზმი, ტურიზმი გურმანი და ა.შ.

ბიოსფერული რეზერვატის საერთაშორისო სტატუსის მოპოვებას კახეთის სამი მუნიციპალიტეტი ცდილობს. ესენია: დედოფლისწყაროსა და ახმეტის, ნაწილობრივ თელავის მუნიციპალიტეტები. ამ რეგიონის შერჩევა შემთხვევითი არა არის, ისინი ისტორიულად ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იყვნენ და ეს ახლაც გრძელდება. რა ბმაა ამ ორ ბიოსფერულ რეზერვატს შორის და რატომ შეირჩა ამ პროექტისთვის კახეთი? -ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი საუბრობს.

„რატომ შეირჩა ამ პროექტისთვის დედოფლისწყარო და თუშეთი? იმიტომ, რომ ორივე მუნიციპალიტეტში უნიკალური დაცული ტერიტორიაა. ბიოსფერული რეზერვატი ვერ დაარსდება იქ, სადაც არ არის ბირთვული ზონა. ბირთვული ზონა გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მკაცრად უნდა იყოს დაცული ბიომრავალფეროვნება ასეთი კი არის მხოლოდ ნაკრძალი ან ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონა. აღნიშნული მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე შეიძლება იყოს. კახეთის ორივე ზემოაღნიშნულ რეგიონში ჩვენ გვაქვს ვაშლოვანის და თუშეთის დაცული ტერიტორიები, სადაც თავმოყრილია უნიკალური ბიომრავალფეროვნება. ბიოსფერული რეზერვატის შექმნა სწორედ იმ იდეის გარშემო გაერთიანებაა, რომელიც უკვე ეკონომიკური და სოციალური თემების გაუმჯობესებას გულისხმობს მომავალში. ამ ტერიტორიებზე შეიქმნება არა მარტო ბირთვული ზონა, რომელიც ხელშეუხებელია, არამედ ბუფერული ზონა და ეკონომიკური განვითარების ანუ ეგრეთ წოდებული გარდამავალი ზონა, ეს უკანასკნელი კი ორივე მუნიციპალიტეტის ეკონომიკასაც წაახალისებს.

ეს პროექტი ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს შეეხება, მაჩხაანისა და ქედების ზონის მაცხოვრებლებს, რომლებიც საკუთარ ოჯახზე იგრძნობენ ბიოსფერული რეზერვატის სიკეთეს. მარტო დაცული ტერიტორიები არ იქნებიან აქ მოქმედი აქტორები, აქ ბიოსფერული რეზერვატის მეორე აქტორი შემოვა. რომელიც ეკონომიკურ განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ეს, ფაქტიურად მოგვცემს იმას, რომ განვითარება მოხდება თანაბრად და ფაქტიურად, გარემოს მიმართ მეგობრულად განწყობილი ადამიანები ჰარმონიულად იცხოვრებენ ბუნებასთან და სარგებელს მიიღებს ორივე-გარემოც და ადამიანიც...

მაგრამ ხელს არ შეუშლის სხვა ადამიანებს. ეს იქნება ნებაყოფლობითი-ანუ ვისაც სურვილი ექნება, აწარმოოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი, მას ექნება ამისი განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო ვისაც არა- გააგრძელებს ცხოვრებას ძველებურად. ის უნიკალური შესაძლებლობები, რაც ქიზიყის ზონას აქვს, სერიოზული ეკონომიკური ბენეფიტია მოსახლეობისთვის.

ბიოსფერულ რეზერვატში ნაწარმოები პროდუქცია უკვე ბრენდია და საინვესტიციო თვალსაზრისით გაცილებით წინ იქნება სხვა პროდუქციაზე. ანუ, ჩვენი მუნიციპალიტეტი თავის ნიშას დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ბევრ სხვა შესაძლებლობას ფლობს, როგორიცაა პურის ბეღელი, კახური ზეთის სამშობლო, ნეფროლოგიური ცენტრი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, ასევე შეგვიძლია გავაფართოოთ და უკეთეს შესაძლებლობად ვაქციოთ.

ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი კი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეკონომიკური აქტიურობა დაიწყოს ბიზნესმა და ზოგადად, ფერმერებმა, როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და წვრილი ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებმა.

მეორე ფაქტორი, თუ რატომ შეირჩა ჩვენი რეგიონი ბიორეზერვატისთვის, ეს გახლავთ კახეთში ტრადიციული მომთაბარეობის წესი. ეს ტრადიცია თუშში და კახეთში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების წესს აერთიანებდა. საძოვრებისა და გადასარეკი ტრასის გარდა, ბუნებრივი ლანდშაფტიც გარკვეულ გმაშია ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში, ჭალის ტყის აღდგენა და შენარჩუნება განსაკუთრებით აქტუალურია.

/გაგრძელება გვ.3/

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 2 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

პრემიერ-მინისტრმა კახეთში სტიქიით დაზარალებულთა დახმარება სოფლის მეურნეობის მინისტრს დაავალა

ძლიერმა სეტყვამ და ქარმა კახეთში - ყვარლის, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში 4 600 ჰექტარი ვენახი დააზიანა. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული პროცესის წარმართვა ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილს დაევალა.

„შექმნილია საკოორდინაციო შტაბი, სადაც მიმდინარეობს ზარალის დათვლა. ადგილზე იმყოფება ჩემი წარმომადგენელი - მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლერი ბარნაბიშვილი.

არცერთი დაზარალებული არ დარჩება სახელმწიფოს ზრუნვის გარეშე!“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამირან გამყრელიძე - სწავლა სავარაუდოდ, დისტანციურად დაიწყება

ვფიქრობ, განათლების სამინისტრო ეპიდვითარებას განიხილავს და სწავლა სავარაუდოდ, დისტანციურად დაიწყება, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლი ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ მედიავებინარზე განაცხადა.

მისივე თქმით, სანამ დადებითობის მაჩვენებელი 4%-ზე ქვემოთ არ ჩამოვა და ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგ-პროფესორების 80% ვაქცინირებული არ იქნება, სკოლებსა და უნივერსიტეტებში უსაფრთხო გარემო არ იქნება.

„ვფიქრობ, განათლების სამინისტრო განიხილავს ამ ფონს და სწავლა დაიწყება დისტანციურად. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციაა, სანამ დადებითი მაჩვენებელი არ ჩამოვა 4%-ის ქვემოთ, დღეს 9.43 პროცენტი გვაქვს, ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგების 80% არ იქნება სკოლაში ვაქცინირებული, ჩვენ ვერ განვიხილავთ სკოლას უსაფრთხოდ, ამიტომ სასურველია მათი აცრა და საერთო ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იქნება განხილული სკოლებში დასწრებული სწავლის განხილვა.

მე პირადად იგივე შეხედულება მაქვს უნივერსიტეტებთან მიმართებაში, რომ დასწრებული სწავლებისთვის ეს კრიტერიუმები იყოს დამაკმაყოფილებელი. ეს არ ეხებათ მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებიც უნდა იყვნენ აცრილები. 150 000 სტუდენტი არის დღეს, რომლებიც ახალგაზრდები არიან. „დელტა“ შტამი ძალიან ადვილად ვრცელდება ახალგაზრდებში, ადვილად გადამდებია, ამიტომ სასურველია, რომ სწავლის დაწყებისთვის ყველა უნივერსიტეტი და სკოლა იყოს უსაფრთხო“, - განაცხადა გამყრელიძემ.

ირაკლი ქადაგიშვილი - ოპოზიციის შავი ოცნება, რომ პანდემია გავრცელდეს და საქართველოს სანქციები დაუწესდეს, რათა აპოკალიფსურ სურათში სარგებელი ნახონ, ფუჭია

ოპოზიციის შავი ოცნება, რომ პანდემია გავრცელდეს და სანქციები დაუწესდეს საქართველოს, რომ აპოკალიფსურ სურათში სარგებელი ნახონ, ფუჭია - მოვუწოდებ ყველას, ნუ იხელმძღვანელებთ ოპოზიციის აღქმებით, თუ მათი აღქმების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ქვეყანა დასაწვავია, - ამის შესახებ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, რითაც ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე ოპოზიციის განცხადებებს გამოეხმაურა.

როგორც ქადაგიშვილმა განაცხადა, საქართველოს არანაირი სანქცია არ ემუქრება და ყველა რეფორმა აუცილებლად ბოლომდე მივა.

“საქართველო გამარჯვებული გამოვა. ყველა ის რეფორმა, რომელზეც ჩვენ შარლ მიშელთან მოლაპარაკების დროს თუ ისედაც აღებული გვქონდა, ვახორციელებდით, ვახორციელებთ და მომავალშიც განვახორციელებთ. ყველა მიმართულებით სასამართლო, საარჩევნო სისტემაში, მეწარმეობის კანონის მიხედვით და ა.შ. ვნახავთ რომ უარღესად რეფორმატორული საკანონმდებლო ცვლილებები არის ქვეყანაში. პოლიტიკას უფრო დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე რეალურ შეფასებებს. ჩვენ თუ საერთაშორისო პარტნიორების შეფასებებს წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ კანონიც კარგია, გამჭვირვალობაც კარგია, მაგრამ აღქმებია ცუდი, ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ნუ იხელმძღვანელებთ ოპოზიციის აღქმებით, იმიტომ რომ ოპოზიციის აღქმა მენტალურად დაზიანებულია. ისინი ამ ქვეყანაში ერთ დარგულ ხესაც კი ვერ ხედავენ. თუ ჩვენ აღქმას მათი აღქმების მიხედვით ჩამოვიყალიბებთ, მაშინ ეს ქვეყანა რა თქმა უნდა, დასაწვავია, თუ ასეთი აღქმების მიხედვით ვიმსჯელებთ,”- განაცხადა ქადაგიშვილმა.

ცნობისათვის, ევროკავშირის წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეხვედრაზე მაკროფინანსური დახმარების საკითხზე იყო საუბარი. მათი თქმით, თუ 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შესრულდება, დახმარებას საქართველო ვერ მიიღებს.

კახეთში რამდენიმე სოფელში ვენახი დაისეტყვა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში - შაქრიანში, გავაზსა და სანავარდოში ვენახები დაისეტყვა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სეტყვა რამდენიმე წუთი გაგრძელდა და ყურძნის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა.

როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა განაცხადა, სტიქიის შედეგად ძირითადად ვენახებია დაზიანებული. „სეტყვამ სოფელ გავაზში ყურძნის მოსავალი თითქმის 100 პროცენტით გაანადგურა”, - განაცხადა სესიაშვილმა. ყვარელში ყურძნის კრეფა ჯერ არ დაწყებულა.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მოსული სეტყვის შედეგად მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა მუნიციპალიტეტის სოფლებს - გავაზი, გრემი, სანავარდო, კუჭატანი და შილდა, ასევე, ქ.ყვარლის სავარგულებს. დასეტყვილია სასოფლო - სამეურნეო სავარგულები, დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები. სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ - კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, როსტომ სესიაშვილი. ამავდროულად, სტიქიამ პრობლემები შექმნა თელავი - ყვარელის დამაკავშირებელ მაგისტრალზე, სადაც წაქცეული ხეების შედეგად მოძრაობა დროებით შეიზღუდა. მობილიზებულია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, ასევე, გზის გაწმენდით სამუშაოებში მყისიერად ჩაერთნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე - მაშველები. ამ დროისთვის მოძრაობა აღდგენილია.

24 800 კილოგრამი დაავადებული კარტოფილი ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდება

ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის შემდეგ 24 800 კილოგრამი კარტოფილი ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა. აღნიშნულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, 24 800 კილოგრამი დაავადებული კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეაჩერეს. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს სპეციალისტების მიერ, მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგად, ჯანმრთელობისთვის საშიში საკარანტინო მავნე ორგანიზმები გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის N463 დადგენილების თანახმად, აღნიშნული ტვირთი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა. საქონლის სიჯანსაღის კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა ფიტოსანიტარიული პარამეტრებით რეგულირებადი ობიექტების ინსპექტირებას, მკაცრ საბაჟო კონტროლს ექვემდებარება“, - აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კახეთში მასობრივად მუშახელის სიმცირეა

რეგიონებში იაფ მუშახელზე მოთხოვნა არის, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, როგორც ოჯახებს, ასევე მეწარმეებსაც, სასოფლო-სამეურნეო საქმეებზე დამხმარის შოვნა მაინც უჭირთ. ირკვევა, რომ არის სოფლები, სადაც მუშახელის ლოდინს, მოსახლეობის სიმცირის გამო, შეიძლება რამდენიმე კვირაც დასჭირდეს. ზოგ შემთხვევაში, სოფელი შეიძლება მჭიდროდ დასახლებულია, მაგრამ ხალხი ამ ტიპის სამუშაოს შესრულებას გაურბის. დაქირავებული მუშის მინიმალური ანაზღაურება 35-40 ლარია, მაქსიმალური კი - 70 ლარი. თუმცა, დღიური ქირა დაქირავებულთა ყოფით პრობლემებს ბოლომდე ვერ აგვარებს. შრომაზე უარს ამბობენ ისინიც, რომლებიც წინა წლებში რეგიონებში დადიოდნენ სხვადასხვა სამუშაოზე და ამით ირჩენდნენ თავს.

თერჯოლის მკვიდრი ვახო ქავთარაძე ამბობს, რომ სამეგრელოს სოფლებში გლეხებს მოსავლის აღებაში ეხმარებოდა და მიღებული ჯამაგირი მისი ოჯახის ძირითადი შემოსავალი იყო. ამჟამად მას საკუთარი სოფლიდან გასვლა სამუშაოს შოვნის მიზნით არ უწევს, რადგან ფიქრობს, რომ გაწეული შრომა ანაზღაურებას არ შეესაბამება. “შეიძლება, მთელი დღე იმუშაო და 40 ლარზე მეტი ვერ მიიღო. თუმცა სამეგრელოში მუშაობა უფრო სარფიანია, სეზონზე შეიძლება თხილის პლანტაციებსა და სიმინდის ყანებში იმუშაო. მთავარია, მოსავალი იყოს. მირჩევნია, სახლს მივხედო ან სადმე ახლომახლო სოფელში დავკავდე, თუკი საქმე გამომიჩნდება. სახლ-კარს თვეობით ვშორდები და ვერ ვიღებ იმდენ საფასურს, რომ ოჯახის საჭიროება დავაკმაყოფილო”, - ამბობს რესპონდენტი. გურიის რეგიონში ამბობენ, რომ მუშახელზე მოთხოვნა არის, მაგრამ ასეთი ადამიანის შოვნა სოფლებში თითქმის შეუძლებელია. ოზურგეთში, სოფელ შრომის მცხოვრებ დავით ბოლქვაძის თქმით, ახალგაზრდების უმრავლესობა სეზონურ სამუშაოებზე თურქეთში გარბის და ადგილზე სერიოზული დეფიციტია.

“ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისაც ფულს გადაუხდი და დამხმარედ დაიქირავებ, ხალხი არ დარჩა სოფელში. თითო დღის შრომის საფასური საშუალოდ 40-50 ლარია, მაგრამ ამ ფასადაც ჭირს მუშის შოვნა, ხალხი სოფლებიდან გაიქცა. არაფერია ისეთი, რამაც შეიძლება ადამიანი ოჯახში დააკავოს. სოფელი კი შრომისუნარიან ახალგაზრდებს კარგავს”, - ამბობს გურული გლეხი. გაცილებით მძიმე ვითარებაა მთის რეგიონებში, რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გიგი მდივნიშვილის თქმით, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახს მუშახელი ქუთაისიდან ჩაჰყავს.

კახელი მეღვინეების ინფორმაციით, რეგიონში მუშახელის დეფიციტია, რის გამოც ხალხის ჩამოყვანა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან უწევთ. მათი თქმით, მოიმატა ფასმაც და 40 ლარზე იაფად მუშახელის დაქირავება უკვე შეუძლებელია. ამის მიზეზად წინანდლელი ფერმერი ოთარ ბერძენიშვილი ქარხნებში დასაქმების ზრდას მიიჩნევს და ამბობს, რომ სეზონურად მომუშავეებმა ღვინის ქარხნებში გადაინაცვლეს და ვენახებში დღიურ შრომას უკვე ვერ ახერხებენ”.

“შარშან ვენახში მომუშავეებს 40 ლარს ვუხდიდი, წელს მეტს ვთავაზობთ და ხალხი არ არის. თანაც, პრობლემაა დეფიციტი, რაც მუდმივი სამუშაო გაჩნდა, ხალხმა ქარხნებს მიაშურა. ამდენად, ყველა, ვინც დღიურ მუშახელად ითვლებოდა და დადიოდა ვენახებში, ქარხნებშია დასაქმებული. ფაქტიურად სოფლებში იაფი მუშა გაქრა, რა ფასიც არ უნდა შესთავაზო, მომუშავეს ვერ იშოვი, ამიტომ ხალხი სხვა რეგიონებიდან ჩამოგვყავს. ამ პერიოდში ყველაზე მეტი სამეგრელოდან და იმერეთიდან ჩამოდის სამუშაოდ, სეზონზე არიან დასაქმებულები და ნორმალურ გასამრჯელოსაც იღებენ. ჩვენი ხარჯი კი მაქსიმალურად გაიზარდა, ამიტომ ყურძნის ფასმა უნდა გაამართლოს, რომ შრომა გვიღირდეს”, - ამბობს მევენახე. წარმოების დეფიციტთან ერთად, შრომის ანაზღაურების პრობლემაზე საუბრობს აგრარული სფეროს სპეციალისტი, პროფესორი პაატა აროშიძე.

“მთავრობამ უნდა გაკეთოს ანალიზი, რა სამუშაოებზე საქმდებიან უცხოეთში ქართველები. ეს არის ძირითადად თხილის ან ჩაის სეზონი, რა მხრივაც თურქეთში დასაქმების დიდი შესაძლებლობაა. მუშახელი რომ ჩავანაცვლოთ, აუცილებელია მაქსიმალურად დამუშავდეს მიწები და მოთხოვნა გაჩნდეს. მეორე მხარეა, შეძლებს თუ არა ქართველი ფერმერი ადგილობრივ მუშახელს გადაუხადოს იმდენი, რამდენსაც ჩვენი თანამემამულეები თურქეთში ღებულობენ. ძალიან კარგი იქნება, თუკი ქართველებს სხვა ქვეყნებში დასაქმება მონური პირობის ხარჯზე არ მოუწევთ, მაგრამ ამის რესურსს ჯერჯერობით ვერ ვხედავ”, - აცხადებს პაატა აროშიძე.

ჩვენ უნდა შევცვალოთ კონსერვაციის ფოკუსი - არა როგორ გადავარჩინოთ, არამედ, როგორ ავაყვავოთ...

/პირველი გვერდიდან/

საქონლის გადასარეკი გზა, ძირითადად, ივრისა და ალაზნის ჭალებს მიუყვება. ჭალის ტყეების შენარჩუნება და მოვლა კი ერთ-ერთი პრიორიტეტია როგორც რეგიონისთვის, ასევე მსოფლიოსთვის"-ამბობს მალხაზ მერაბიშვილი, რომელიც დარწმუნებულია ამ პროექტის წარმატებაში.

მას შემდეგ, რაც ისტორიული წყაროების მიხედვით, XVI და XVII საუკუნეებში თუშებს შირაქის ვაკესა და ალვანში ზამთრის საცხოვრებელი და სამეურნეო მიწები გადაეცათ, ყოველწლიური სეზონური მიგრაცია ბარიდან მთაში მათი ცხოვრების წესია. მეცხვარეობა თუშეთისთვის არა მარტო შემოსავლის წყაროა, არამედ ეს მათთვის არის გზა, შეინარჩუნონ კავშირი ისტორიულ სახლთან, რომელშიც მათი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ. ტრადიციების შენარჩუნების პარალელურად, ბუნების კონსერვაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია თუშეთისათვის. დაცულ ტერიტორიებზეუარყოფითი ანთროპოგენური ზეგავლენის რისკს დედოფლისწყაროსა და თუშეთის ბიოსფერული რეზერვატები მნიშვნელოვნად შეამცირებს-ასე ფიქრობს ანზორ გოგოთიძე.

თუშეთში ბიოსფერული რეზერვატის არეალი, თავდაპირველად, მკაცრად იყო განსაზღვრული, თუმცა, მოგვიანებით, ის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. პროექტის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ არეალის გაფართოებასთან ერთად, რეზერვატის ზეგავლენაც მზარდი იქნება.

ანზორ გოგოთიძე, ***თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენელი*** - „ბიოსფერული რეზერვატი მდინარე ალაზნის სამ აუზს მოიცავს, ამიტომ ჰქვია მას ,,სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი". მის შემადგენლობაში შედის პანკისის ხეობაც, ბაწარის ნაკრძალიც, ილტოს აღკვეთილიც და თუშეთის ეროვნული პარკიც. სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი ქვემოდან ამოყვება მდინარე ალაზანს და თავის თავში მოიცავს ზემო ალვანს, ქვემო ალვანს, ებმება ალავერდის ჭალის ტყე და თვითონ ალავერდი, როგორც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის კანდიდატი. მერე უკვე თელავის მუნიციპალიტეტია, სოფელი ლამისყურე, სადაც ასევე თუშები ცხოვრობენ, მიუყვება საავტომობილო გზას, მდინარე ილტოს ხეობაში და უერთდება თუშეთის ეროვნულ პარკს. თავიდან იყო ამოცანა, რომ ბიორეზერვატს მარტო თუშეთი უნდა მოეცვა, მაგრამ სამეურნეო კულტურული ყოფის და ეკოსისტემების გავრცელების გამო, მიიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ არეალი გაფართოებულიყო.

-ბატონო ანზორ, თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ ზემოქმედებას მოახდენს ბიოსფერული რეზერვატების მშენებლობა თუშეთისა და, ზოგადად, კახეთის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე?

ზოგადად, ეს ორი ბიოსფერული რეზერვატი ერთმანეთს უკავშირდება ამ სამეურნეო დერეფნის საშუალებით, რომელსაც გადასარეკ ტრასას ვეძახით და რომელიც, საუკუნეების მანძილზე არსებობს და ფუნქციონირებს. ეკონომიკური წონასწორობის შესანარჩუნებლადაა მნიშვნელოვანი ამ ორი რეგიონის დაკავშირება ერთმანეთთან. იმიტომ, რომ თუშეთი და ეს დანარჩენი ტერიტორიები, რაც გამოიყენება ზამთრის საძოვრებად, შირაქი, რომელიც შედის დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის შემადგენლობაში, ეს არის ზამთრის საძოვრები და ეს ორი რეგიონი ეკოლოგიურად ერთმანეთს აწონასწორებს ამ ანთროპოგენური ზეგავლენის თვალსაზრისით.

ზოგადად, ბიოსფერული რეზერვატი არის საერთაშორისო კატეგორია, ამიერკავკასიაში ეს პირველი მცდელობაა, რომ შეიქმნას ბიოსფერული რეზერვატები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რა თქმა უნდა, ბიოსფერული რეზერვატები არის გარემოს შენარჩუნება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და ასევე, ის ემსახურება რეგიონის პოპულარობის გაზრდას მსოფლიოში. იუნესკოც უკვე პოპულარიზაციას უწევს ისეთ ობიექტებს, სადაც ბიოსფერული რეზერვატებია შექმნილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დიდი მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის განვითარებისთვის. ბიორეზერვატს მულტიპლიკატორის ეფექტი აქვს და დადებით ზეგავლენას ახდენს სხვა დარგების განვითარებაზეც, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, სუვენირების წარმოება, გადამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, იმიტომ რომ, სხვადასხვა ტიპის ტურიზმი ვითარდება, ეკო ტურიზმი ძირითადად დაცულ ტერიტორიებზე, აგრო ტურიზმი, სოფლის ტურიზმი და ასე შემდეგ გარდამავალ ზონაში. ამ რეგიონებს უზარმაზარი რესურსი აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის".

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მძიმეა

კორონავირუსის სტატისტიკა მარტო ციფრები აღარ არის . დღეს საქართველოში 19 წლის მშობიარე გარდაიცვალა. ჩვილი გადარჩა, მაგრამ მისი განაჩენი უკვე მძიმეა. ოგლოგაში, დედის გარეშე მოუწევს ცხოვრება. ეს მეთერთმეტე შემთხვევაა...

ვითარება ძალიან დამძიმდა ქვეყანაში. ყოველი მეორე ოჯახი ჭირისუფლად იქცა ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანაში. სიკვდილიც გაუბრალოვდა თითქოს...

არადა , როგორ გვჯეროდა, რომ ბევრი ოჯახი აცდებოდა ძაძას და ტკივილს. დედოფლისწყაროში შარშან ამ დროს ვამაყობდით, რომ ერთეული შემთხვევა იყო და გული გვწყდებოდა, როცა მწვანე ზონის სტატუსს ვკარგავდით. დღეს კი, იმის ნაცვლად რომ შემთხვევებს ვითვლიდეთ მზარდი ციფრებიდან ქვემოთ, პირიქით ხდება!

პასუხისმგებლობას გაურბის ყველა-. განსაკუთრებით ისინი, ვინც მოსახლეობას აცრის საჭიროებაზე კი არ ესაუბრება, არამედ მოუნოდებს, რომ არ აიცრას, იმიტომ, რომ თურმე ვაქცინა კლავს!

ანტივაქსერული მოძრაობა არ ახალია. ყვავილის საწინააღმდეგო აცრის დროსაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვაქცინის გაკეთების შემთხვევაში ადამიანებს, არც მეტი, არც ნაკლებიძროხად გადაქცევა ემუქრებოდათ!

მას შემდეგ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო. ემპირიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ იმუნიზაციას ზიანის მოტანა არა, მაგრამ ადამიანების ეპიდემიისგან ხსნა ნამდვილად შეუძლია.

რა თქმა უნდა, ადამიანი თავისუფალი არსებაა და ის ყოველთვის იმის მიხედვით აკეთებს არჩევანს, როგორც სწორად მიაჩნია. მაგრამ ისინი, ვინც ადამიანებს ყალბ და დაუსაბუთებელ ინფორმაციებს აწვდიან და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერევიან, იღებენ პასუხისმგებლობას მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე?

ძალიან ცუდია, როცა ასეთი გაუთავებელი პოლემიკის ფონზე, საზოგადოება ორად გახლეჩილი და ურთიერთდაპირისპირებული რჩება, ხოლო ახალი კორონავირუსი ყოველდღიურად უამრავ სიცოცხლეს ინირავს.

ვის უნდა ვენდოთ ამ დროს? რა თქმა უნდა, ექიმებს, რომელთაც კარგად იციან ვაქცინის შემადგენლობა და არა მათ, ვინც დაუზუსტებელ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას.

ომს თავისი კანონები აქვსო- ნათქვამია. ეს ომია, ყველაზე რთული და საშიში ომი. ვებრძვით უხილავ ვირუსს, რომლის დამარცხებაც ძალიან რთულია. ექიმები ამბობენ, რომ გამოსავალი მასობრივ ვაქცინაციაშია.

ვაქცინაციის გარდა, კიდევ რამ შეიძლება ახლა ეპიდვითარება შეცვალოს, - ექიმ ნანა გეგეჭკორსაც ვკითხეთ (მაიმონდის ჰოსპიტალი, ნიუ-იორკი, აშშ) - ნანამაც პირველადი ჯანდაცვის რგოლით დაიწყო. სასწრაფოდ უნდა:

ამოქმედდეს ტელემედიცინა (ამის ჩანსახები არის, მაგრამ სრულიად არასაკმარისი და არც ისე კვალიფიციური);

ოჯახის ექიმების დიდი ნაწილი დასატრენინგებელია (სამწუხაროდ, ჯერაც ბევრ შეცდომას უშვებენ);

მეტი რესურსია მოსაძიებელი იმისთვის, რომ ის პაციენტები, ვისი მართვაც სახლშია შესაძლებელი, უფრო ადეკვატურად იმართოს, არ დავამძიმოთ და არ გავხადოთ ჰოსპიტალური სექტორის ტვირთი;

ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს გაწერილი გაიდლაინში არაჰოსპიტალიზირებული პაციენტის მართვის პრინციპები! (რაც შეიძლება მეტმა ექიმმა ისარგებლოს სტანდარტიზირებული გაიდლაინით).

შემდეგი და სასწრაფო გასამართი: ტრიაჟის სისტემაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან ჩქარა უნდა შეიქმნას ერთიანი ბაზა სანოლფონდის და ეს ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწრაფო დახმარების ბრიგადისთვის ელექტრონულ რეჟიმში - რაც ზემოთაც ვახსენეთ.

„არ შეიძლება სასწრაფო დახმარების ბრიგადას კარდაკარ დაჰყავდეს პაციენტი თავისუფალი საწოლის მოსაძიებლად. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონულად, რომ დრო მაქსიმალურად დაიზოგოს და თუნდაც ის სასწრაფო დახმარების ბრიგადა დროზე განთავისუფლდეს და მერე სხვას მიაკითხოს", - იწერება ნანა ნიუ-იორკიდან.

კიდევ არის ერთი საჩქაროდ მოსაგვარებელი ამბავი - არასაკმარისი ცხელი ხაზები.

ცხელ ხაზზე დარეკვა დღეს არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. შეიძლება საათობით არც არაფერი გამოგივიდეს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

„ხშირად ადამიანები სასწრაფო დახმარებას და ჯანდაცვის პირველად რგოლს არამიზნობრივად ტვირთავენ. ასეთი ზარები უნდა დახარისხდეს ადეკვატურად და გადამისამართდეს შესაბამისად, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაიწვეს სამედიცინო სექტორს არამიზნობრივი ზარი". და ცხადია, ჰოსპიტალური სექტორი. აქ ნანა გეგეჭკორი გულისხმობს იმას, რომ ძალიან მკაფიო უნდა იყოს ჰოსპიტალიზაციის და გაწერის კრიტერიუმები და აბსოლუტურად უნდა გამორიცხავდეს„ცნობილი სახეების".ნაცნობ-მეგობრების, და კიდევ სხვა მექანიზმებით არამიზნობრივ ჰოსპიტალიზაციას.

„ყველა არამიზნობრივად დაკავებული საწოლი არის დახმარების გარეშე დარჩენილი უპატრონო პაციენტი. დროული გაწერა კი საუკეთესო განტვირთვაა ჰოსპიტალური სექტორისთვის".

ცალკე ამბავია კიდევ საავადმყოფოს შიგნით მართვა.

„მაგალითად, პანდემიის პიკზე, ჩვენთან, შეცვლილი იყო ინტენსიურში პაციენტის გადაყვანის კრიტერიუმები და მასში გათვალისწინებული იყო პაციენტის პროგნოზი ბევრ მონაცემზე დაყრდნობით. ეს პროცესი იმდენად სტანდარტიზირებული იყო, რომ ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდა. აუცილებელია პალიატიური დახმარების სერვისის ხარისხიანი და დროული ამოქმედება. სამწუხაროდ, არიან პაციენტები, ვისი გადარჩენა თეორიულადაც კი შეუძლებელია და მათი უფრო ჰუმანურად და სამედიცინო თვალსაზრისით ადეკვატურად მოვლა შესაბამისი პალიატიური სერვისი არსებობით ერთი ორად ადვილდება".

ნანა გეგეჭკორს კიდევ რამდენიმე „სასწრაფოდ" გასაკეთებელი რჩევა აქვს.

სასწრაფოდ უნდა გადამზადდეს არაპროფილური პროფესიის ექიმების ჯგუფები, რომ მათ შეძლონ საშუალო და შედარებით მსუბუქი პაციენტების მართვა. ეს არის ამერიკის გამოცდილება.

სასწრაფოდ უნდა მოერგოს კანონმდებლობაც პანდემიურ წესებს. ამერიკაში პანდემიის პიკზე სულ სხვა წესები მოქმედებდა ექიმის შეცდომასთან მიმართებაში, ასევე პაციენტის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. თუ სხვა დროს სოციალური ქსელით, ვაიბერით, სკაიფით და ასე შემდეგ პაციენტის მონაცემების გავრცელება ჰიპას წესების დარღვევაა და ამას შეიძლება ექიმის ლიცენზია შეეწიროს, პანდემიური წესები ამ რესურსების მაქსიმალური გამოყენების საშუალებას იძლევა, რათა არც ერთი პაციენტი არ დარჩეს სამედიცინო ყურადღების მიღმა.

სასწრაფოდ, პარალელურ რეჟიმში უნდა ხდებოდეს ჰოსპიტალური სექტორის მომარაგება ყველაზე თანამედროვე მკურნალობის საშუალებებით. მაგალითად, საქართველოში არ არსებობს ანტისხეულების კოქტეილები.

სასწრაფოდ: უნდა გაჩნდეს დამატებითი რგოლი სახლსა და ჰოსპიტალს შორის. ძალიან ბევრი პაციენტი ვერ ეწერება სახლში დროულად მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროებს დამატებით სამედიცინო ყურადღებას და ამის სახლში ორგანიზების საშუალება არ არსებობს.

სასწრაფოდ: უნდა ამუშავდეს ეგრეთ წოდებული „visiting nurse"-ის სერვისი. ასეც შეიძლება სახლში შედარებით ადრე გაეწეროს ბევრი პაციენტი, ვინც ჰოსპიტალში მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ მინიმალური ყურადღება ჯერაც სჭირდება და სახლში ამის რესურსი არ არსებობს.

***

დედოფლისწყაროში ბოლო ერთ კვირაში 201 კოვიდინფიცირების ფაქტი დადასტურდა, იზოლაციასი იმყოფება 687 პირი. 2021 წელს გარდაცვალების 10 შემთხვევა დაფიქსირდა.

ქვეყნის მასშტაბით კი 27 აგვისტოს კოვიდინფიცირების 4031 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, გამოჯანმრთელდა 4585 პირი, გარდაიცვალა -73 პაციენტი.

ქართველი ქალისა და ბოშა ბარონის სიყვარულის ისტორია

ქართველი ქალისა და ბოშა ბარონის სიყვარულის ისტორიაზე მინდა გიამბობთ, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო. ახლა მათ ხუთი შვილი და 22 შვილიშვილი ჰყავთ.ბარონს მიშა იუნენკო ჰქვია, მის მეუღლეს - ვენერა მარტყოფლიშვილი, რომელიც დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია.

- 14 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ჩემი ოჯახი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში ცხოვრობდა. მიშა ჩემს მეზობლად ბიძამისს მშენებლობაზე ეხმარებოდა და იქ ვნახე პირველად. მაშინ 17 წლის იყო. გათხოვებამდე ერთი წლით ადრე მიშას ოჯახში ვიყავი ნამყოფი.

ჩემი და და მისი მეგობარი გოგონა წავიდნენ სამკითხაოდ ბოშებთან, მეც გავყევი. მათ ჩემმა მომავალმა დედამთილმა უმკითხავა. რომ მორჩნენ, მითხრეს, შენც ამკითხავებინეო. ჯერ რატომღაც უარზე ვიყავი, მერე დავთანხმდი. მკითხავმა - ბედი გაქვს ჩაკეტილიო და ცხვირსახოცში გამოკრული ავგაროზი მომცა, ეს დაგეხმარებაო. მისგან რომ გამოვედით, შემეშინდა, ცხვირსახოცი გავხსენი და ავგაროზთან ერთად ეზოში დავაგდე. ერთი წლის შემდეგ, როდესაც მიშას გავყევი, დედამისმა მითხრა, რადგან ის ავგაროზი ჩემს ეზოში დააგდე, ამიტომ გახდი ჩემი რძალიო.

- საინტერესოა, როგორ მიიღეს თქვენი ქორწინების ამბავი მშობლებმა.

- ძალიან ცუდად. სანამ შვილი არ შეგვეძინა, მანამდე არ მელაპარაკებოდნენ. ჩემი ოჯახი კარგად ცხოვრობდა. ვის არ მიგზავნიდნენ, ყველაფერს გაპატიებთ, ოღონდ შინ წამოდიო, მაგრამ უარზე ვიყავი.

ბოშები ხომ ადრე ქორწინდებიან. ჩემთან ქორწინებამდე ჩემი მეუღლეც ყოფილა დაქორწინებული უკრაინელ ბოშაზე. ქალ-ვაჟი ჰყავდა. ბიჭი უკრაინაში იყო დედასთან, გოგო შინ დამხვდა და მე გავზარდე.

- რით მოგხიბლათ მომავალმა მეუღლემ?

- ერთი შეხედვით მომეწონა. ძალიან ლამაზი იყო - ქერა, ცისფერთვალება,მაღალი. მე შავგვრემანი და სუსტი ვარ. ქართველები რომ ნახავდნენ, ძალიან მოსწონდათ და ხუმრობით მეტყოდნენ ხოლმე, შენ როგორ წაგიყვანაო. ენა მალე ვისწავლე, ოჯახშიც ბოშურად ვლაპარაკობ. თითქმის ბოშურად მაცვია, რადგან დიდი ხანია, ბოშურად ვცხოვრობ და ბოშური ოჯახი მაქვს.

- როგორ ქორწინდებიან ბოშები?

- ქორწილი შეიძლება ორი კვირაც კი გაგრძელდეს. პატარძალს თეთრი კაბა აცვია და ფატა აქვს. თუ მდიდრები არიან, დასავლეთ საქართველოში (კრიმების შტო), ქორწილში, შეიძლება ოქროებიც მიაკერონ თეთრ კაბას. ჩვენთან არა, მაგრამ რუსეთში, უკრაინაში, სერბეთში ყიდიან პატარძლებს. იქ უხარიათ, როდესაც ბოშა ქალი ოჯახიდან მიდის, ამიტომ ლამაზი ქალის გაჩენა მათთან დიდი ზეიმია. ბოშები ადრე ქორწინდებიან - ზოგჯერ 13 წლის ასაკშიც. რამდენიმე დღის წინ ჩემი 17 წლის შვილიშვილი გაჰყვა ბოშას, რომელიც სენაკში ცხოვრობს. მე ცუდად ვიყავი. ჩემმა ბიჭმა კი ჩააკითხა, რათა სახლში დაებრუნებინა და მერე საქმროს ქორწილით წაეყვანა, მაგრამ გოგო არაფრით არ გამოჰყვა და ჩემი ბიჭი ძალიან გამწარებული დაბრუნდა, საერთოდ აღარ მივაქცევ ყურადღებასო. იმედია, გაუვლის...

- დაკრძალვის ტრადიცია როგორი აქვთ? ერთგან წავიკითხე, ყოფილა შემთხვევა, მიცვალებულისთვის ავტომანქანაც კი ჩაუტანებიათო. მართლა ასეა?

-დაახლოებით 20 წლის წინ, მუკუზანში ვნახე, ახალგაზრდა ბარონი გარდაიცვალა, რომელსაც ქართული სიმღერები ჰყვარებია ძალიან და ჩართული მაგნიტოფონი ჩააყოლეს, როცა დააფლავეს.

- ბარონები როგორ ხდებიან, შთამომავლობით ირჩევენ?

- შთამომავლობით არა, ავტორიტეტის მიხედვით ირჩევენ. ახლა ვცხოვრობ გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში, სამხედრო დასახლებაში. აქ სახელით არ მიმართავენ ჩემს მეუღლეს, ყველა ბარონს ეძახის. მე კახეთის ბოშათა გაერთიანება „რომას“ თავმჯდომარე ვარ. რითიც შემიძლია, ვეხმარები ბოშათა ოჯახებს. მათ განსაკუთრებით გაუჭირდათ პანდემიის დროს. განათლების სამინისტროდან მეხმარებოდნენ - ფულს მიგზავნიდნენ, პროდუქტს ვყიდულობდი და ვურიგებდი. წამლების შეძენაშიც ვეხმარები, საბუთების მოწესრიგებაშიც....

- რამდენი ბოშაა დღეს საქართველოში? ამბობენ, ისინი პასპორტს არ იღებენო...

- დღეს უმრავლესობა სკოლაში არ დადის, რადგან გაჭირვებული ოჯახებია. დედები დადიან ლუკმაპურის საშოვნელად და ბავშვებიც თან დაჰყავთ. ზოგი მკითხაობს, ზოგი მათხოვრობს... ბოშა მამაკაცები, ძირითადად, არ მუშაობენ. ახლა ზოგიერთმა ჯართზე დაიწყო მუშაობა და ეგეც კარგია - ორ კაპიკს მაინც შეიტანენ ოჯახში. პასპორტს როგორ არ იღებენ! მე ვეხმარები, პირადობის მოწმობები რომ აიღონ. ამის გარეშე ვერც დახმარებას მიიღებენ.

საქართველოში ახლა 2 ათასამდე ბოშაა. აქ ბოშების სამი შტო ცხოვრობს: ლახი, პლაშუნი და კრიმი. ლახები და პლაშუნები კახეთსა და ქვემო ქართლში, კრიმები - დასავლეთ საქართველოში ცხოვრობენ. კრიმები, ძირითადად, მუსლიმები არიან, თუმცა, ბოლო პერიოდში ევანგელისტები გახდნენ. ლახები და პლაშუნები ქრისტიანები არიან. პირველი დღესასწაული არის შობა, მერე - ძველი ახალი წელი, წყალკურთხევა, აღდგომა და ა.შ.

- როგორც ვიცი, დაოჯახების შემდეგ თქვენც მიიღეთ განათლება.

- ჯერ რვა კლასი დავამთავრე, მერე - ტექნიკუმი და მერე პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ძალიან ბევრი სერტიფიკატი მაქვს.

- თქვენმა შვილებმაც მიიღეს განათლება?

- სკოლაში დადიოდნენ, მაგრამ არ დაამთავრეს - ზოგი მე-6 კლასიდან გამოვიდა, ზოგი - მერვედან... თუმცა წერა-კითხვა ხუთივემ კარგად იცის.

- ძირითადად სად მუშაობდით?

- სანამ ორგანიზაციას დავაარსებდი, 2009 წლამდე, არსად, თითქმის 30 წელი მომთაბარე ცხოვრება მქონდა. კარვებით დავდიოდით, ცხენები გვყავდა.

მეუღლე ცხენებით ვაჭრობდა, მე ვმკითხაობდი, ვვაჭრობდი. საქართველოს სოფლებში დავდიოდით, რუსეთშიც ვიყავით, უკრაინაშიც, მერე კიროვაბადში, განჯაში... რამდენიმე ოჯახი ვერთიანდებით, რომ შორ გზაზე ერთად წავიდეთ. ადრე მატარებლით ან ავტობუსით მივდიოდით. მიგვქონდა მხოლოდ ტანსამოსი, კარავი და ერთი ხელი ლოგინი.

თითო ბავშვი თუ მიგვყავდა, დანარჩენს დედამთილთან ვტოვებდით. ფულს ვაგროვებდით და ვბრუნდებოდით. მომთაბარეობა თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე შევეჩვიე, მომწონდა კიდეც...

- მრავალცოლიანობა მიღებულია ბოშებში?

- არ არის ძალიან გავრცელებული, ბევრს არ ჰყავს. ჩემს ახლომახლო სამიოდე მამაკაცს თუ ჰყავს ერთზე მეტი ცოლი.

- სამზარეულო როგორი აქვთ ბოშებს?

- ძირითადად, იგივე კერძები გვაქვს, რაც ქართველებს. შობას, ძველ ახალ წელს, წყალკურთხევას და აღდგომას ვამზადებთ ბოშურ ხინკალს, რომელსაც კანორე ჰქვია. სხვა დროს მისი მომზადების უფლება არ გვაქვს. მზადდება მოხარშული ღორის ხორცისგან, რომელსაც მერე ვკეპავთ, ვუმატებთ მარილს და შავ წიწაკას. ცომს ცივ წყალთან და ნახარშთან ერთად ვზელთ, პილმენის ფორმაზე ვახვევთ და მთელი ღამე ვხარშავთ, რადგან რამდენიმე ვედროს ვაკეთებთ, დილით ადრე კი ვწვავთ და ცხელ-ცხელი მიგვაქვს სუფრასთან.

-მერე ცეკვა-სიმღერა მოჰყვება კანორეს...

- იცოცხლე, თუმცა ადრე უფრო ბევრი მიმდევარი ჰყავდა ამ ყველაფერს, ახლა ინსტრუმენტების პრობლემა აქვთ... ბოშებისთვის დამახასიათებელი სამოსიც უფრო დღესასწაულებზე თუ აცვიათ, თუმცა, სიჭრელე და სიფერადე უყვართ და მეც გადმომდეს.

ხუთი შვილი და 22 შვილიშვილი მყავს. ჩემს შვილებს ჰქვიათ ნიკოლოზი, გია, თამრიკო, ნინო და ლალი. ყველა მათგანმა ბოშას დაუკავშირა ცხოვრება.

***

როგორც არქივები გვამცნობს, ბოშები საქართველოში პირველად მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის დროს ჩამოვიდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკრაინიდან და რუსეთიდან გადმოსახლებული ბოშების რიცხვმა იმატა. 1959 წლის მონაცემებით, საქართველოში 1024 ბოშა ცხოვრობდა. დღეს საქართველოში ბოშების უმრავლესობა სწორედ ამ ხალხების შთამომავლები არიან.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 604 ბოშა ცხოვრობს. არაოფიციალური მონაცემებით და არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკით, ეს რაოდენობა შეიძლება 3000-ს აღწევდეს. ამ რაოდენობაში მოიაზრება ე.წ. რომა ჯგუფი - ეს ბოშების ის შტოა, რომელიც ათასწლეულზე მეტი ხნის წინ ევროპის ტერიტორიაზე დასახლდა. საქართველოში ყველაზე მეტად დამკვიდრებულია ორი ბოშური განშტოება- “ვლახი” და “კრიმი”. ასევე ცხოვრობენ სომხურენოვანი ბოშებიც - „ლომ-ის ბოშები“, რომლებიც ძირითადად ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გხვდებიან. ბოშები, რომელთაც ქუჩაში უფრო ხშირად ვხედავთ, „დომ-ის“ შტოს მიეკუთვნებიან. მათ განსხვავებული ენა, რელიგია და კულტურა აქვთ, ამიტომ დანარჩენი ბოშები მათ თავიანთი თემის ნაწილად ნაკლებად აღიქვამენ. ისინი საუკუნეების წინ, ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ტერიტორიაზე დასახლდნენ. საქართველოში „დომ“-ის შტოს ბოშები სეზონურად აზერბაიჯანიდან ჩამოდიან ხოლმე.

ბოშები ძირითადად განსახლებულები არიან თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში, ქობულეთში, გარდაბანში და დედოფლისწყაროს სოფელ ულიანოვკაში.

გოგოების დაკარგული მემკვიდრეობა ანუ მეც შვილი ვარ!

აირჩიე, რომელ ძმასთან იცხოვრებ, - უთხრა დედამ ბელას.

რატომ უნდა ვიცხოვრო, რომელიმესთან, მეც ხომ შენი შვილი ვარო, ზუსტად ამ სიტყვებით უპასუხა ბელამ, მაგრამ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო - სახლი უმცროს ძმას დარჩებოდა, ბელას კი შეეძლო სადმე „ვაგონი“ ჩაედგა და იქ ეცხოვრა.

კონფლიქტი დედა-შვილს და და-ძმას შორის წლების განმავლობაში ისე გამწვავდა, რომ საქმეში პოლიცია ჩაერია - ბელას ორჯერ გამოუწერეს შემაკავებელი ორდერი - დედაზე ძალადობსო. ერთხელ სახლიდანაც გააგდეს და ღამე ქუჩაში, ტურების გვერდით გაათენა.

არც სადმე წასასვლელი ადგილი ეგულებოდა, არც ფული გააჩნდა, რომ სახლი დაეტოვებინა. ამის გამო, შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის, კინაღამ დააპატიმრეს. სოფელ აღდგომაანთკარში ეს ამბავი ყველამ იცის. ბელა პატაშური, რომელიც დღეს 42 წლისაა, არსად წავიდა საკუთარი სახლიდან და საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლაგადაწყვიტა.

მას უკან დასახევი გზა აღარ აქვს - საქმე სასამართლოშია. მის ინტერესს კავშირი „საფარი" იცავს.

ის იბრძვის იმის მისაღებად, რაც კანონით მისია - მემკვიდრეობის ნაწილი.

ეს ბელას ამბავია:

ბელა ჯერჯერობით ერთადერთი ქალია, ვინც „მეც შვილი ვარ“ კამპანიის ფარგლებშიღიად ალაპარაკდა და ამ ამბის გაზიარებით უამრავი ქალის სადარდებელი გაახმოვანა.მეც შვილი ვარ! - გოგოები ამბობენ.

ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია „საფარის“ ფოსტაზე ჯერ ერთი წერილი მივიდა. მერე მეორე. და მალე წერილების მთელი ჯარი დაგროვდა - უეცრად ქალები ხმამაღლა, მაგრამ ანონიმურად ალაპარაკდნენ და მათ მოიწერეს დაუჯერებელი, ერთმანეთზე მძიმე ამბები იმისა, თუ როგორ დარჩნენ უარაფროდ მხოლოდ იმიტომ, რომ გოგოებად დაიბადნენ.

როგორ გაწირეს ისინი დედებმა, მამებმა, ძმებმა, ნათესავებმა მხოლოდ იმიტომ, რომ მათმემკვიდრეობა მოითხოვეს. ან როგორ ვერ მოითხოვეს ვერაფერი და ისინი გათხოვებისიმედად დატოვეს.

ზოგი ვერც გათხოვდა.

ზოგი - გათხოვდა და მოძალადის ისეთ ხაფანგში გაება, საიდანაც სწორედ ამ უარაფრობისგამო, თავი ვერასოდეს დააღწია.ამ ქალების ნაწილი დღესაც ცხოვრობს მოძალადე ქმრებთან მხოლოდ იმიტომ, რომ „წასასვლელი არ გააჩნია“.ხოლო ნაწილი, ძმების და რძლების წნეხის პირობებში აგრძელებს ცხოვრებას.როცა მათ მოუწოდებენ, მიატოვონ მჩაგვრელი ქმარი, ისინი მზად არიან წავიდნენ თავშესაფარში, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს დროებითი გადარჩენაა. შემდეგ გზაგა დაკეტილია.

არ არსებობს მათი კუთვნილი ქონება - არ არსებობს გასაქცევი.

„ქალები ისევ ბრუნდებიან ასეთ ჯოჯოხეთში, ხოლო გადიდგულებული ქმრები ძალადობას აგრძელებენ. ხშირად ეს ძალადობა ფემიციდით სრულდება. მერე ჩვენ ვადგენთ მკვლელობების სტატისტიკას, და არსად ზედაპირზე არ ჩანს, რა არის ქალების ასეთი დაუცველობის მიზეზი“, - შორენა გაბუნია, „საფარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ათობით ისეთი ქალის წერილი, ვინც თქვა - „მეც შვილი ვარ“- შორენასთან იყრის თავს. ქალების წერილები დღემდე არ წყდება. მათი ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა არჩევს ანონიმურად დარჩენას.

"მეც შვილი ვარ" კამპანია მიმართავს პირველ რიგში, მშობლებს: დაფიქრდით, რისთვის წირავთ შვილებს!

შემდეგ კაცებს - დაფიქრდით, საიდან ჩნდება პრივილეგიები?!

და ბოლოს, თავად ქალებს- რომ იბრძოლეთ და იცოდეთ რისი უფლება გაქვთ კანონით.

„ერთმა ქალმა პირდაპირ მითხრა, მე მეგონა, კანონში ეწერა, რომ ოჯახში ქონებაუმცროს ძმას რჩებაო“, - გვითხრა შორენამ.

სამოქალაქო კოდექსი:

„სამკვიდრო ერთი რიგის მემკვიდრეთა შორის ნაწილდება თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთანმიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო“.

გატეხილი ლარნაკი - ნამდვილი ამბავი

ღარიბ ოჯახში ვცხოვრობდი, დედა და მამა ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს

ატანდნენ. მე და ჩემს ძმას, ისევე, როგორც საბჭოთა დროის ბევრ ბავშვს, ბევრი საბაზისო ნივთი გვენატრებოდა, ხშირად კალამი დასაშლელიც კი.ერთხელ, არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ ალბათ ვიქნებოდი ასე 8-9 წლისა, სახლში შემთხვევით ლარნაკი გავტეხე. დიდი არაფერი ძვირფასი არ იყო, საბჭოთა დროს უნივერმაღ "თბილისში", პირველ სართულზე, უამრავი მსგავსი იყიდებოდა, მაგრამ დედაჩემმა წივილ-კივილი მორთო, როგორ არ უფრთხილდებინიკოს ქონებასო (ნიკო ჩემი ძმაა, 6 წლით უფროსი ჩემზე).

ამ დროს ოთახში ჩემი ძმა შემოვარდა, მეცა და სულ წიხლებით მცემა, შენ როგორ გაბედე ჩემი ქონებისასე განადგურებაო. ნეკნები მტკიოდა, ხუმრობა ხომ არაა, ამხელა წონით გაუზოგავად მწიხლავდა.როცა დავწყნარდი, დედაჩემმა ოთახში გამიყვანა და ამიხსნა, რომ როცა ოჯახში ბიჭი იბადება, მთელი სახლი და ქონება მისია, და რომ მე კი გავტეხე ლარნაკი, მაგრამ სინამდვილეში იგი ნიკოს ოჯახს„დავაკელი“...

ჩემმა გათამამებულმა და განებივრებულმა ძმამ, ორივე ჩემს მშობელს სცემა, რადგან გერმანიაში წასვლა უნდოდა და ამ ბინის გაყიდვის და ჩვენი ქუჩაში გაყრის შესაძლებლობა არ მისცეს.

ჩემი მშობლები ამ ამბავს არასოდეს ახსენებენ, მაგრამ ვგრძნობ, რომ დედაჩემი ძალიან ნანობსმომხდარს და იმას, რომ მთელი ბავშვობა ჩემი ძმის უსიტყვო მონად გამზარდა. მაგრამ გვიანია. გულითკი ვაპატიე, მაგრამ უსაზღვრო სიყვარული და აღტაცება მშობლების მიმართ სწორედ მაშინ დასრულდა, რაც მათ ჩემს ძმას ჩემი წიხლებით ცემის უფლება მისცეს“.

შორს, ბავშვობაში

გენდერის მკვლევარმა მაია ჩიტაიამ გამოიკვლია, რა უწყობს ხელს მემკვიდრეობის გარეშე ქალების დატოვებასმათივე ოჯახის მიერ და მიზეზების ძებნა ქალების ბავშვობის ასაკიდან დაიწყო. აი, რა აღმოაჩინა:

მემკვიდრეების სიიდან ქალის ამოშლას სულ მცირე სამი წინაპირობა აქვს.

პირველი: აღზრდა.

გოგონებს უნერგავენ, რომ ისინი არ არიან ოჯახის ღირებული წევრები. ამის ნიშნები მარტივ, ყოველდღიურ რიტუალებშიც ჩანს - ვის შეეძლო გვიან სახლში დაბრუნება? ძმას.

ვინ იყო ახალ წელს მეკვლე? ძმა.

ვის შეეძლო ჩაეცვა ისე, როგორც მას სურდა? ძმას.

შინ შრომას ვის ავალდებულებდნენ? დას.

ძმის ოთახი ვინ უნდა დაალაგოს? დამ.

მეორე: მეტი სათამაშო, მეტი ტანსაცმელი ძმას.

„მაგრამ ისინი პატარები იყვნენ და ალბათ, ამიტომ“, - მოისმინა მაიამ ქალების ნაწილისგან, რომლებიც მშობლების გადაწყვეტილებას დღემდე ამართლებენ.

„ძმები უფროსები იყვნენ და ალბათ, ეს იყო მიზეზი“, - უთხრა მას ქალების მეორე ნაწილმა.

მესამე მიზეზი: ენა

ენა, რომელსაც მშობლები ბავშვების აღზრდისას იყენებენ: თითქოს არაფერი, მაგრამ სუფრაზე, სადღეგრძელოებში, ვაჟს მოიხსენიებენ მემკვიდრედ, გვარის გამგრძელებლად.გოგოებს - წამსვლელებად. ისინი წავლენ, გათხოვდებიან - ცხადია, ეს გოგოების გონებაშიც ასე ილექება - ჩვენ არ ვართ ამ ოჯახის მუდმივი ნაწილი, ჩვენ ამ სახლიდან არაფერი გვეკუთვნის.

ასე ჩამოუყალიბდათ ქალებს სიმბოლური სტატუსი, რომ ისინი ვერასოდეს იქნებიან სიმდიდრის მფლობელები. არათუ საკუთარი ოჯახის ქონების ნაწილის, არამედ მათი მომავალი ქმრების ქონებისაც, თუ იქაც „ჭკვიანად არ მოიქცევიან“.

მოტყუებით დაკარგული სახლი - ნამდვილი ამბავი

წლების წინ, - მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ჩემმა მშობლებმა, მამაჩემის სოფელში, ძველი ხის სახლის ადგილას ახალი, ორსართულიანი აგურის სახლი ააშენეს.ბებია და ბაბუას, ანუ მამაჩემის მშობლებს, სამი ბიჭი და ორი გოგო ჰყავდათ, ყველას თავის წილი ქონება გაუნაწილეს. მამაჩემს კი ძირი კარმიდამო არგუნეს, სადაც ძველი სახლის ნაცვლად ახალი ააშენებინეს. ამ მშენებლობაში ლომის წილი დედაჩემის იყო. მე და ჩემი დაც პატარაობიდანვე შეყვარებულები ვიყავით სოფელზე და რატომღაც გამჯდარი იყო ჩვენშიც, რომ ეს სახლ-კარი ჩვენი და ჩვენი შვილების იქნებოდა.

მაგრამ ბიძაჩემს სხვა გეგმები ჰქონდა. სახლის მშენებლობის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ ვინაიდან მამაჩემს ბიჭი არ ჰყავდა, მის ვაჟს დარჩებოდა იქაურობა.რამდენჯერმე ვთხოვე დედას, გაეფორმებინათ სახლ-კარი, რადგან არ მომწონდა ამ კაცის საქციელები, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ვერ უშვებდა, რომ ამ ბოროტებით სავსე არაადამიანს შეეძლო, ქონებაზე რამე პრეტენზია განეცხადებინა.სამწუხაროდ, ჩემი შიშები გამართლდა, დედის გარდაცვალებისთანავე, ფაქტიურად, სოფელში ჩასვლის საშუალებას არ მაძლევდა, იყო გაუთავებელი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ჩემი და ჩემი დისმიმართ, რომელიც არის II ჯგუფის ინვალიდი.

ეს ქონება მამას გადავუფორმეთ. მაგრამ როცა მეგონა, რომ ყველაფერმა ჩაიარა, სწორედ მაშინდაიწყო უბედურება. მისმა და-ძმამ, რომ ვერაფერს გახდნენ სასამართლოებით, მზაკვრული გეგმაშეიმუშავეს, ჩემს წინააღმდეგ განაწყვეს მამა. საკუთარი ხელით გადაიფორმებინეს ქონება იმ ძმისშვილზე, რომელი ძმის მიზანიც თავიდანვე ცხადი იყო - ,,თქვენ ბიჭი არ გყავთ და მაინც ჩემი ვაჟის იქნება ყველაფერიო!" (სტილი დაცულია).ქალი შეეგუა. საზოგადოებამ კი ასეთი რეალობა ნორმად მიიღო - ქალს მემკვიდრეობის წილი არ უნდა ეკუთვნოდეს.

შეკრული წრე

ხშირად, ამ გადაწყვეტილების უკან, რომ ქალი „უნდა გათხოვდეს“ და მას ოჯახიდანარ აფერი ერგოს, დგანან მათი დედები. სწორედ ის ქალები, რომლებიც თავის დროზე, მემკვიდრეობის გარეშე დარჩნენ.

მაიკო ჩიტაიას კვლევამ ისიც აჩვენა, რომ არცთუ იშვიათად, ეს დედები იყვნენ ქმრის ოჯახის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვაჟები ვერ დააჩინეს.

ხოლო როცა მათ საბოლოოდ მაინც გაუჩნდათ ბიჭი შვილები, ისინი იქცნენ მათთვის ძალაუფლების იარაღად - ამ დედებმა, მათ გამო, გოგო შვილები, მტრად გადაიკიდეს.

მემკვიდრეობა-ეკონომიკური ძალადობის იარაღი

მემკვიდრეობის განაწილების თემა საფუძვლიანად იკვლია სოციოლოგიის დოქტორმა დაგენდერის მკვლევარმა მაია არავიაშვილმა.

ამ სადისერტაციო ნაშრომში მაია წერს, რომ საქართველოში, მემკვიდრეობის განაწილებისას, უძრავი ქონება, იშვიათიგამონაკლისების გარდა, ვაჟს რჩება. ეს საკითხი განხილვასაც არ ექვემდებარება და თუოჯახში და-ძმაა, ბინა იქნება თუ სახლი, აუცილებლად მამაკაცს დარჩება.

უფრო მეტიც, თითქოს ქალები მადლიერებიც კი უნდა იყვნენ, თუ ძმები, რომლებსაც მშობლების ქონება დარჩათ, ოდესმე რაიმე ტიპის დახმარებას გაუწევენ მათ. საზოგადოება არასწორ საქციელად აფასებს დის მიერ ძმისთვის სახლიდან წილის მოთხოვნას.

საქართველოში ვაჟებისთვის ქონების დატოვების საპირწონედ - ქალებისთვის „კარგი მზითვის“ მიცემის ტრადიცია ქალს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას აძლევდა, თუმცა, როგორც წესი, და ამას მაიაც აღნიშნავს, „უძრავი ქონების ფასი ბევრად აღემატებოდა,,კარგი" მზითვის მატერიალურ ღირებულებას“.

დღეს უკვე მზითვის ტრადიცია ისედაც ძალიან დასუსტებულია და ქალის ეკონომიკური სიძლიერის გარანტად მისი „გამზითვება“ ვერ ჩაითვლება, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ მას სავალდებულო ხასიათი დაკარგული აქვს და დიდწილად მხოლოდ საჩუქრის ხასიათს ატარებს.

ძალიან ხშირად, გაუცნობიერებლად საკუთარ ქალიშვილებზე ეკონომიკურ მოძალადეებად მათივე მშობლები იქცევიან, გვეუბნება მაია არავიაშვილი, - და რატომღაც, ყოველთვის მიიჩნევა, რომ გოგონა ართმევს ძმას ქონებას. „არასოდეს განვიხილავთ, რომ ძმა ართმევს დას ამ ქონებას მუდმივ რეჟიმში“.

სასამართლოს გზას და ოჯახთან დაპირისპირებას მხოლოდ გამონაკლისები ირჩევენ.

ფაქტია, რომ ქალებისთვის მხოლოდ იმის თქმა, რომ მათ მემკვიდრეობის წილის მოთხოვნის უფლება აქვთ, სურათს არ ცვლის. მაია არავიაშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა, ერთ-ერთი გამოსავალი ისეთი კანონი იყოს, რომელიც, ქონების თანაბრად გაყოფის რეალურ შესაძლებლობას შექმნის.

იქნებ ჯობდეს იმ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, სადაც კანონში პირდაპირ ჩაიწერა, რომ ქალს, მიუხედავად მისი სურვილისა, უნდოდა თუ არა მემკვიდრეობის მიღება, მაინც გადაეცემოდა მშობლების ქონებიდან კუთვნილი წილი. ხუთი წლის შემდეგ კი, თუ მას აღარ ენდომებოდა ამ ქონების პატრონობა, შეეძლო ნებისმიერი პირისთვის მისი დათმობა, მათ შორის, თავისი ძმისთვისაც.

საკმარისია, საქართველოში ქალმა გამოთქვას სურვილი მიიღოს მშობლების მემკვიდრეობიდან ქონების ნაწილი, ის ხდება ისეთი გაკიცხვის ობიექტი, რომ ძალიან რთულია ამისთვის ვინმე მზად იყოს.

„როცა ქალი ქმარს შორდება, მას მარტივად ედავება ქონებას, რადგან ურთიერთობა ისედაც გაფუჭებულია. მშობლებს და ძმას კი ასე ადვილად ვერ უპირისპირდება, რადგან უახლოეს ადამიანთან არ უნდათ ჰქონდეთ კონფლიქტი. ამიტომ კარგავენ ქონებას, რაც თავის მხრივ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ ქალებმა შეძლონ თვითრეალიზება. ასეთი არჩევანის წინაშე რჩებიან ქალები“, - გვეუბნება მაია არავიაშვილი.

სხვათა შორის, სადისერტაციო კვლევაზე მუშაობის შემდეგ, მაია არავიაშვილმა გადაწყვიტა, რომ ქალთა ქონებრივი უფლებების შესახებ სასწავლო კურსი შეეთავაზებინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

აღმოჩნდა, რომ სტუდენტი გოგონების უმრავლესობა, კურსის დასრულების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ არა მარტო იციან მემკვიდრეობის უფლების შესახებ, არამედ გაცნობიერებულიც აქვთ მისი მნიშვნელობა, მაინც არ არის მზად საკუთარი ოჯახის წევრებს ქონებაზე ედაოს.

მოთხოვნადი პროფესიები დედოფლისწყაროში

(გამოკითხვის შედეგები)

2021 წლის 1 აპრილიდან 2021 წლის 10 ივნისამდე პერიოდში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა (gAჩ), პროექტის - „ახალგაზრდობის ჩართულობა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის"- ფარგლებში, ჩაატარა ანკეტური გამოკითხვა დედოფლისწყაროს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. გამოკითხული იყვნენ 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები (მოსწავლეები) და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე, საჯარო მოხელეები.

სულ გამოკითხული იყო 270 პირი (მთელი მოსახლეობის 1,33%) აქედან-50 ბიზნესმენი.

გამოკითხვის მიზანი იყო ახალგაზრდების ინტერესების და ადგილობრივი ბიზნესებისთვის მოთხოვნადი პროფესიების სავარაუდო ნუსხის დადგენა, ასევე მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისების დადგენა.

გამოკითხვის შედეგები:

გამოკითხული 270 პირიდან 115 მამაკაცია, 135-ქალი.
20 წლამდე ასაკის- გამოკითხულთა -62, 22%
21-დან 30 წლამდე-5,18%
31-დან 50 წლამდე-17,04%
51-დან-60 წლამდე-8,52%
60 წლის ზემოთ- 7,04%

საქმიანობის პროცესში არსებული პრობლემებიდან გამოკითხულები ასახელებენ:

შეფერხება ნედლეულის, მასალის შეძენის პროცესში 25 9.26%
წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია 33 12.22%
კონკრეტული ბიზნესის/საქმიანობის დაბალი ცნობადობა 35 12.96%
მომხმარებლის დაბალი მსყიდველუნარიანობა 44 16.30%
კადრების ნაკლებობა ბიზნესში ჩასართავად 70 25.93%
ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა 130 48.15%
ბიზნესის წარმოებისთვის საჭირო უნარების არქონა 71 26.30%
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ნაკლებობა 23 8.52%

ბიზნესისთვის ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებიდან (თითოეულ გამოკითხულს უფლება ჰქონდა, რამდენიმე პროფესია შემოეხაზა) გამოკითხვის მიხედვით ხმები ასე განაწილდა:

ბუღალტერი/ფინანსისტი 102 37.78%
იურისტი (სამოქალაქო სამართალი, მეწარმეთა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, საბაჟო, საგადასახადო, შრომის კანონმდებლობა) 72 26.67%
გამყიდველი 43 15.93%
კონსულტანტი/ბაზრის მკვლევარი/მარკეტოლოგი 112 41,48%
საკრედიტო სპეციალისტი 8 2.96%
დიასახლისი (დამლაგებელი) 20 7.41%
მზარეული/ მზარეულის დამხმარე/მიმტანი 35 12.96%
გიდი 30 11.11%
ოფის-მენეჯერი 28 10.37%
ბავშვის (მოხუცის, ავადმყოფის) მომვლელი - ძიძა 13 4.81%
მძღოლი/მექანიზატორი (მათ შორის, სპეცტექნიკის) 38 14,18%
ინფორმაციული ტექნოლოგიების (კომპიუტერის) სპეციალისტი 41 15.19%
უცხო ენების სპეციალისტი 70 25.93%
სხვადასხვა პროფილის ხელოსანი (სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება 34 12.59%
სამშენებლო საქმის სპეციალისტი 18 6.67%
აგრონომი/ მცენარეთა დაცვის სპეციალისტი/ ფლორისტი 49 18.15%
მევენახე/მეღვინე 31 11.48%
ზოოტექნიკოსი 11 4.07%%
ვეტერინარი ექიმი, ფერშალი 23 8.52%
ციფრული მარკეტინგის და ონლაინ გაყიდვების სპეციალისტები 156 57,78%

გვაინტერესებდა ასევე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებებიდან რომელი მუნიციპალური სერვისის არსებობაა ხელის შემწყობი დედოფლისწყაროს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

გამოკითხვის შედეგები ასეთია:

კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან ინტერ მუნიციპალური თანამშრომლობა 73 27.04%
ადგილობრივ საჯარო მოხელეთა კომპეტენცია და სტაბილურობა 50 18.52%
ფისკალური დამოუკიდებლობა 8 2.96%
განვითარებული ელექტრონული მომსახურება 24 8.89%
სამართლებრივი ბაზის არსებობა მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე 13 4.81%
ინოვაციური ეკონომიკური ალტერნატივების ხელშეწყობა 57 21.11%
მოქმედი ბიზნესის ხელშეწყობის სტრატეგია 49 18.15%
ინვესტიციების ხელშეწყობის სტრატეგია 48 17.78%
დასაქმების ხელშეწყობის სტრატეგია 50 18.52%
ტურიზმის ხელშეწყობის სტრატეგია 41 15.19%
წყალმომარაგების სტრატეგია 41 15.19%
რეკრეაციის განვითარების სტრატეგია 11 4.07%
სოციალური ზრუნვის მუნიციპალური სტრატეგია 11 4.07%
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური სტრატეგია 18 6.67%
ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სტრატეგია 16 5.93%
უსახლკარო პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა 7 2.59%
სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის განვითარების სტრატეგია 13 4.81%
ადგილობრივი კულტურის განვითარების სტრატეგია 23 8.52%
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 12 4.44%
მუნიციპალიტეტის საჯარო სივრცეების დასუფთავება 15 5.56%
ტერიტორიის გამწვანების სტრატეგია 18 6.67%
მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარების სტრატეგია 24 8.89%
მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა 7 2.59%
ქალაქმშენებლობითი გენერალური გეგმა 4 1.48%
განაშენიანების გეგმა 7 2.59%
ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგია 13 4.81%
გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა 15 5.56%
შინაური ცხოველების მართვა 13 4.81%

გამოკითხვების შედეგები შეიძლება სარეკომენდაციოდ გამოყენებული იქნას ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ასევე-არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სერვისების გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.

„კვლევა მომზადებულია დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (ჩთჩ) მხარდაჭერით პროექტის: ,,ახალგაზრდობის ჩართულობა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის'' შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: ,,მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)'' ფარგლებში.

ეს მასალა შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან დოკუმენტის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის შეხედულებებს.

მარიამობა

საქართველოში მარიამობა ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რადგან ჩვენი სამშობლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრია და მას წმიდა ქალწული მარიამი იფარავს. მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა ან მარიამობა - ღვთისმშობლის მიცვალების დღესთან დაკავშირებული მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დღესასწაულია. მართლმადიდებლობაში შედის თორმეტ უდიდეს დღესასწაულთა სიაში. დღესასწაული აღინიშნება ძველი სტილით 15 აგვისტოს/ახ. სტ. 28 აგვისტოს. იერუსალიმის, საქართველოს, რუსეთის, სერბეთის ავტოკეფალური და ათონის მთის ავტონომიური ეკლესიები, ასევე უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური (უნიატური) ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინებას დღესასწაულობენ იულიანური კალენდრით (ძვ. სტილით), ანუ ახალი სტილით 28 აგვისტოს. მართლმადიდებელი ეკლესიები ამავე დღეს თაყვანს სცემენ აწყურის, გაენათის, წილკნის, მეტეხის, ქვათახევის, მოზდოკის, ვლაქერნის და სხვა, ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებს. რომის კათოლიკური ეკლესია, ელადის (საბერძნეთის) და მასთან ერთად რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია მიძინების დღესასწაულს ახალი სტილით 15 აგვისტოს ზეიმობენ.

მარიამობის დღესასწაულს წინ უძღვის ორკვირიანი მარხვა. ამ დღეს იხსენებენ ღვთისმშობლის გარდაცვალებას (მიძინებას), აღდგომასა და განდიდებას, უფლის მიერ მის „აღყვანებას“ ზეციურ სასუფეველში, მის სულიერ და ფიზიკურ სისავსეში მყოფობას.

ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეთისხილის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა დედაღვთისას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დანერგილი ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ. ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული თავად უფლის ხელით ავიდა ცათა საუსუფეველში.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორცით ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.

ეკლესია ასწავლის, რომ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს პირადი ცოდვები არ ჰქონდა. თუმცა, დღესასწაულის სახარებაც, საღვთისმსახურო ტექსტებიც და თვით მიძინების ხატიც აცხადებს, რომ ღვთის მშობლისათვის, ისევე, როგორც ყველა ადამიანისათვის, აუცილებელი იყო ქრისტესმიერი გამოხსნა ამ ქვეყნიერების განსაცდელების, ტანჯვისა და სიკვდილისაგან. და სიკვდილის შემდეგ თავისმა ძემ იგი აღადგინა, როგორც სიცოცხლის დედა, რათა მიიღოს მონაწილეობა ღვთის სასუფევლის მარადიულ ცხოვრებაში.

„შობასა ქალწულებაი დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღმრთის მშობელო, მიხუედ ცხორებად დედა ეგე ცხორებისაი, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა“ (ტროპარი).

„მეოხებათა შინა სამარადისოდ მვედრებელი, და შეწევნათა შინა უცვალებელი სასოებაი, ღმრთის მშობელო, სამარემან და სიკუდილმან ვერ დაგაბრკოლეს, არამედ, ვითარცა დედაი ეგე ცხორებისა ცხორებად მიგცვალა, რომელმან დაიმკვიდრა საშოი მარადის ქალწულისა“ (კონდაკი).

მწუხრის სტიქარონი იმეორებს მთავარ თემას, რომ სიცოცხლის დედა „მივალს ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა სიხარულსა და საუკუნ ესა საშუებელსაძისა თვისისა“. ძველი აღთქმისეული საკითხავები, ისევე, როგორც მწუხრისა და ლიტურგიის სახარების საკითხავი, ისეთივეა, როგორიც ღვთისმშობლის სხვა დღესასწაულების საკითხავები. მწუხრზე ჩვენ კვლავ გვესმის მისი სიტყვები: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა“. ლიტურგიაზე ვისმენთ ფილიპელთა მიმართ ეპისტოლის მონაკვეთს, სადაც პავლე მოციქული საუბრობს, რომ ქრისტემ დაიმდაბლა თავი, მიიღო კაცობრივი მონობის უღელი და სამარცხვინო სიკვდილი, რათა ყოფილიყო მამა ღმერთის მიერ „უმეტესად აღმაღლებული“ და კვლავ გვესმის სახარებიდან, რომ კურთხევა, რომელიც მიიღო ღვთის დედამ, ეკუთვნის ყველას, „რომელთა ისმინონ სიტყუაი ღმრთისაი და დაიმარხონ იგი“ (ლუკა, 11:27-28).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის ყველა საღვთისმშობლო დღესასწაულზე მართლმადიდებელი ქრისტიანები სიხარულით აღნიშნავენ იმას, რაც მათ პირად ცხოვრებაში ხდება ქრისტესა და სულიწმინდაში. ღვთისმშობლის მიერ განცდილი განიცდება ყველასაგან, ვინც ბაძავს მას მის წმინდა ცხოვრებაში სიმდაბლით, მორჩილებითა და სიყვარულით. ყველა, ვინც მისდევს ღვთისმშობლის მაგალითს, მასთან ერთად იქნება „კურთხეული“, რათა გახდეს „უპატიოსნესი ქერუბიმთასა და აღმატებითი უზეშთაესსა სერაბიმთასა“. ყველა მათგანში სულიწმინდით იშვება ქრისტე და ყოველი მათგანი იქცევა ცოცხალი ღმერთის ტაძრად. და, ბოლოს, ყველა მათგანი, ვინც ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორითაც დედა ღვთისმშობელმა იცხოვრა, იგემებს ზეციური სასუფევლის მარადიულ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მართლმადიდებლურ გარდამოცემაში ის ხატი, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი მუცლად მყოფი ღვთაებრივი ყრმით, ითვლება „ეკლესიის სახედ“, რადგან გადარჩება მხოლოდ ის, რომელშიც ცხოვრობს ქრისტე.

ბევრ ეკლესიაში არსებობს ღვთისმშობლის მიძინების დღეს ყვავილების კურთხევის ჩვეულება.

როგორ აღნიშნავდნენ მარიამობას ძველ საქართველოში

28 აგვისტოს მთელი საქართველო მარიამობას აღნიშნავს. ამ დღის აღნიშვნის წესები და რუტუალებიც ერთმანეთისაგან ხშირად მკვეთრად განსხვავებულია. თუკი სოფლის ცენტრში დიდი ცეცხლის ანთება - ჭიაკოკონობა და „ავი სულების“ სახლიდან განდევნა მთელს საქართველოში აღდგომის ოთხშაბათს იმართება, სამეგრელოში ეს დღე მარიამობის ღამესაა და ძველი მეგრული წარმოდგენებით, სწორედ დიდი ცეცხლის დანთების შემდეგ ხდება წინასადღესასწაულო გარემოს არასასურველი აურისგან და „ბოროტი სულებისგან“ განწმენდა. ძველ დროში 27 აგვისტოს, ღამეს სამეგრელოში ჭიაკოკონობის მონაწილენი იცვამდნენ ჭრელ-ჭრელ ტანისამოსს, ამის გამო ამ ღამეს „ჭეჭეთობა“ ეწოდებოდა. „ჭეჭეთობა“ წარმოშობილია ჭრელ-ჭრელიდან. რაც შეეხება ჭიაკოკონობას, ყველა კუთხეს აქვს თავისი მოსაზრება. ზოგიერთი მას უკავშირებს ვენახის სხვლას. ზოგი კი ნარჩენების დაწვით მავნე ჭიების განადგურებას. სავარაუდოდ, ჭიაკოკონობა უნდა მოდიოდეს აბრეშუმის ჭიის სახელიდან. რადგან ჭია ქართულადაა, ხოლო კოკონი კი რუსულად. ეს თარიღი ზუსტად ემთხვევა აბრეშუმის პარკის აღებას, კოკონზე კი იმავე საღამოს წვავდნენ ნაგავს, რომელიც რჩებოდა ჭიის დაპურების შემდეგ. მარიამობის დღესასწაულზე აღმოსავლეთ საქართველოში საკლავს აუცილებლად კლავდნენ, ოღონდ საკლავი მდედრობითი სქესისა უნდა ყოფილიყო- ცხვარს ან ხბოს. ხორცს დიდ ქვაბში ხარშავდნენ და მერე სტუმრებს და ახლობლებს უნაწილებდნენ. სუფრასთან საღვთო საკლავის ხორცის ჩამოტარება დიდი ლანგრებით იცოდნენ.

ხევში და მთიულეთში უხუცესს განსაკუთრებულ ნაჭრებს სთავაზობენ. უხუცესი პირველად სალოცავის სადიდებოს ღვთის სახელით იტყვის და მამაკაცებიც თითო ჭიქა ღვინით მოხეური მადლმოსილი სიმარტივით დაილოცებიან: „ხატო და ღმერთო, შეეწიე ყველა ქრისტიანს, ყველა მლოცავს, ხელი მოუმართე ყველა ადამიანს კარგ საქმეში!“.სადღესასწაულო სუფრას სალოცავთან ახლოს შლიან. დიასახლისები გობში (ხის ვარცლში) ფქვილს ჩაყრიან და კარგად მოზელილ საფუვრიან ცომში მონაცვლეობით მხალს და ხან კარტოფილიან და ყველიან გულს ჩადებენ, თავს მოუკრავენ და მრგვალად ტაფაში აცხობენ. ბლომად გამომცხვარ ხაბიძგინებსა და მხლოვანებს ჯვრულად ჭრიან და სადღესასწაულო სუფრაზე აწყობენ. სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის ცომის გოგლომების გამოცხობა იციან. გოგლომა ცომისგან გაკეთებული და გამომცხვარი ცხოველის ფიგურებია. აგოგლომება კი ერთგვარი ცომით ძერწვაა.

ფაქტია, რომ ქართული ღვინის ქვევრში დაყენების ტრადიციის მსგავსად, საქართველო სახალხო რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიციის უწყვეტობით გამოირჩევა. ანუ, იმას, რასაც ქართველების წინაპრები, ვთქვათ, 1000 წლის წინ და კიდევ უფრო ადრე აღნიშნავდნენ, მათი შთამომავლები წყვეტის გარეშე დღესაც ცდილობენ პირვანდელი სახით აღნიშნონ. უნიკალურობა და გამორჩეულობა კი სწორედ ესაა!

გაზეთი „შირაქის“ რედაქცია გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

შვილები: ნათელა, ნიაზი, სოსო ჯანაშვილები, სიძე ჯემალი, შვილიშვილები: ალიკა და მამუკა ჯანყარაშვილები, ძმისშვილი დათო, ძმისშვილიშვილები: გიგა, ერეკლე და ელენე მარტყოფლიშვილები იუწყებიან

მერი ჯანაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 26 აგვისტოს, ზემო მაჩხაანში.

გაზეთ "შირაქის" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაზ, ნათელა და სოსო ჯანაშვილებს დედის

მერი მარტყოფლიშვილ- ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ივერი ჭუჭულაშვილი ოჯახით სმძიმარს უცხადებს მაკა და თეა ალადაშვილებს მამის

კაენი ალადაშვილის

გარდაცვალების გამო

შორენა წოწოლაშვილი

რა დასანანია, რომ პანდემიამ იმსხვერპლა ჯერ სრულიად ახალგაზრდა შენი სიცოცხლე. მხოლოდ 35 წელი გერგო ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. ძალიან დაგვწყვიტე გული. შენ ერთი ალალი, გულუბრყვილო გოგო იყავი, კეთილი, სხვებზე მზრუნველი. თავადაც სუსტი ფიზიკური შესაზლებლობის მქონე, სრულიად უანგაროდ უზიდავდი სათნოების სახლიდან საკვებს ორ გაჭირვებულ და ხანდაზმულ ადამიანს. დედისერთა იყავი და, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელისგულზე გატარებდნენ დედაშენი ლალი და ბებია ზიზო. დედა ავად მყავსო, სულ ამას წუხდი და შენ გაამწარე მისი ცხოვრება. ძალიან გვებრალები და სულ მუდამ გიხსენებთ სათნოების სახლში, ვიხსენებთ შენს გამორჩეულ სიყვარულს პოეზიისადმი, შენს მიერ გრძნობით ნაკითხულ გალაკტიონის „მერის“. გული გვწყდება, რომ ნაღველში ამოვლებული ჟამი შენი სიცოცხლისა, ნაადრევად დაასრულა კოვიდმა. ისღა დაგვრჩენია, გზა დაგილოცოთ ზეციური საუფლოსკენ მიმავალს. ნათელში იყავი, შორენა!

შენი უფროსი მეგობრები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები.

გამოსათხოვარი

ზინა ქელური

მიუხედავად იმისა, ოთხმოც წელს გადააბიჯეთ და ჯანმრთელობის პრობლემებიც გქონდათ, ისეთი მხნე და შემართული იყავით, ერთი წუთითაც არ გიფიქრიათ სამსახურის დატოვებაზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ჩვენი რაიონის მოსახლეობის დაცვას ემსახურებოდით. სწორედ ამიტომ იყო მოულოდნელი თქვენი გარდაცვალება-ზინა ექიმი აღარ არისო, ელვის სისწრაფით მოედო ეს უსიამოვნო ამბავი რაიონს. ობლად, მოხუცი ბებიის გაზრდილმა ოქროს მედალზე დაამთავრეთ არხილოსკალოს საშუალო სკოლა და იმ მექრთამეობის ზეიმისას, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე იყო გამეფებული, საკუთარი ცოდნით შეაღეთ სამედიცინო ინსტიტუტის კარი, რომელიც წარჩინებით დაამთავრეთ. დაუბრუნდით მშობლიურ რაიონს და მცოდნე და ერთგული მკურნალის სახელიც დაიმკვიდრეთ. ოთხი შვილის დედას არასდროს გიღალატიათ ავადმყოფისთვის, თქვენთვის არ იყო სამუშაო საათები, გამოსასვლელი დღე, რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს და წამყვან ექიმს პაციენტები გენდობოდნენ, სჯეროდათ თქვენი და ეიმედებოდათ თქვენი კომპეტენციის. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული დამცველი იყავით, ცოდნაც ხელს გიწყობდათ, მხნეობაც და ხალისიანი ხასიათიც. რაიონის მედიცინის სამსახურმა თქვენი სახით თვალსაჩინო პროფესიონალი დაკარგა, ხოლო მოსახლეობამ - საიმედო მკურნალი. ზინა ექიმო, სიცოცხლეში ვერ მოვასწარი თქვენს განვლილ ცხოვრებაზე დამეწერა, დავიგვიანე. ამ პატარა გამოსათხოვარით კი მადლიერი პაციენტის სახელით, მინდა, დაგემშვიდობოთ და მადლობა გითხრათ იმ ამაგისთვის, რომელიც რაიონის მოსახლეობას გაუწიეთ. თქვენ ქედების სიამაყე და მთელი რაიონის იმედი იყავით. ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა, მშვიდობით.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია და ნაირა გორაშვილი

პიკანტური კაფე მაჩხაანში

კაფე „პიკანტესი“ ზემო მაჩხაანში ერთი თვეა, ფუნქციონირებს. ის მომხმარებელს მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. როგორც კაფის მეპატრონე ნიკოლოზ დათუკიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, ეს იდეა მას შვილებთან ერთად გაუჩნდა. იდეის განსახორციელებლად ფინანსები იყო საჭირო. თუმცა, მშობლიური სოფლის გამოცოცხლების სურვილით, ოჯახმა გადაწყვიტა, ბანკში ვალი აეღო და ბიზნესი დაეწყო.

კულინარიული გამოცდილება ოჯახის დიასახლისს უკვე ჰქონდა. ის წლების განმავლობაში თბილისის ერთ-ერთ საწარმოში მუშაობდა.

დათუკიშვილების ოჯახი სოფელში დაბრუნდა ახალი იდეით და მალე ახალი კაფე შესთავაზა სოფლის მოსახლეობას. კაფეში სამივე ოჯახის წევრია დასაქმებული.

ნიკოლოზ დათუკიშვილი : „წლების განმავლობაში ჩვენც თბილისში ვცხოვრობდით და ვმუშაობდით. ორი შვილი მყავს. გოგონა გათხოვილია და ოჯახი ჰყავს.ვაჟმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ თბილისში აღარ დარჩა და სოფლად დაბრუნდა. იდეაც კაფის გახსნის თაობაზე მას ეკუთვნის. ახალგაზრდობას მოსწონს ჩვენი პატარა კაფე. და არა მარტო მათ. მუშაობა კარგი გვაქვს, როგორც სოფელს შეეფერება, ნამდვილად არ ვემდურით“- ამბობს ჩვენთან საუბრისას კაფის მეპატრონე.

პანდემიის მიუხედავად, „პიკანტესს“ კრიზისი დიდად არ შეხებია. გემრიელი ნუგბარი ზემო მაჩხანელებისთვისაც და ახლომდებარე სოფლებისთვის უკვე ხელმისაწვდომია. „ადრე ასეთი ასორტიმენტის შესაძენად დედოფლისწყაროში გვიხდებოდა წასვლა. ახლა ეს ადგილზეა შესაძლებელი“- ამბობენ ზემო მაჩხაანელები. „პიკანტესის“ პელმენის გემო და მისი ქება კი სოფლის ფარგლებს, კარგა ხანია, გასცდა.

ულოცავენ!

ნათელა გელაშვილს,ნონა მამუკელაშვილს,ელგუჯა სუარიშვილს!

ჩვენო ძვირფასებო,გულწრფელად გილოცავთ პირველი შვილთაშვილის და პირველი შვილიშვილის, ულამაზესი აისი სუარიშვილის დაბადებას. ბედნიერი ბავშვობა და მომავალი პატარა ქალბატონს, მისი ახალგაზრდა მშობლები-გიორგი და მარი ბედნიერი დედ-მამა ყოფილიყვნენ, აკვანთა სიმრავლე დაბედებოდეთ და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით:
ნანა ჭიჭინაძე, ნანა მერაბიშვილი,ნანა აფციაური ოჯახებით.

მაია ბეგიაშვილს! გოგიგა შანშაშვილს!

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს დიდ სიხარულს პირველი შვილიშვილის, პატარა ქალბატონის, ნენსი ბაგალიშვილის ამქვეყნად მშვიდობით მობრძანების გამო. პატარას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას.მის მშობლებს კი-აკვანთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს. უფალი იყოს მათი ახალგაზრდა ოჯახის შემწე და მფარველი. გვიყვარხართ და გეფერებით.

ბიძაშვილები:
ხათუნა და ნატო გორაშვილები
დეიდაშვილები:
ზურაბ და მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით.

ელზა ხარაშვილს!

გულწრფელად და დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. სულ ასეთი ლამაზი, ხალისიანი და ენერგიით აღსავსე ყოფილიყავი შენს სამ შვილთან და ოჯახთან ერთად!

სიყვარულით,
გაზეთ “შირაქის” რედაქცია

ივერი ჭუჭულაშვილს!

ჩვენი ოჯახის დიდო იმედო და საყრდენო, საუკეთესო მეუღლევ, მამავ და პაპავ, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. პირველ სექტემბერს შენ 80 წლის გახდები. დიდხანს იცოცხლე, იყავი კვლავაც მხნე, ჯანმრთელი და ბედნიერი ჩვენთან ერთად. ვაფასებთ შენს ამაგს და გვეიმედები. უფალი იყოს შენი შემწე.

სიყვარულით: მეუღლე თამარ ალადაშვილი,**შვილები:** ზაზა და შორენა ჭუჭულაშვილები,სიძე გია პავლიაშვილი, **შვილიშვილი** სალომე პავლიაშვილი, ნათესავები და მეგობრები.

ივერი ჭუჭულაშვილს!

საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილ მთავარ ზოოტექნიკოსს, სიკეთით სავსე ადამიანს, ბატონ ივერის გულწრფელად ვულოცავთ 80 წლის იუბილეს.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით: ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა,ირაკლი,ვანო,გენადი შიოლაშვილები,ჯემალ კვანჭილაშვილი, ზურაბ თეთვაძე, თამაზ ჯანიკაშვილი,ნანა ჭიჭინაძე, ზურაბ ტოკლიკიშვილი, ნანა აფციაური,მერაბ ფიროსმანაშვილი,მაყვალა მამულაშვილი,მერაბ სეფიშვილი, ანცო მენთეშაშვილი, უშანგი გონაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.08	სამშაბათი 31.08	ოთხშაბათი 01.09	ხუთშაბათი 02.09	პარასკევი 03.09	შაბათი 04.09	კვირა 05.09
დღე	33°	32°	32°	33°	33°	23°	28°
ღამე	21°	21°	21°	22°	21°	18°	20°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.